



## დადგენილება

საქართველოს სახელით

22 აგვისტო, 2014 წელი

ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

მოსამართლე - თეა ძიმისტარაშვილი

საჩივრის ავტორი - **ჯ. ს.**

**სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი** - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის სამსახურის სწრაფი რეაგირების განყოფილების უფროსი სპეციალისტი

**გასაჩივრებული დადგენილება** - ახალციხის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 04 ივლისის №14531144-4/176-14 დადგენილება

**საჩივრის ავტორის მოთხოვნა** - გასაჩივრებული დადგენილების სახდელის სახით ჯარიმის დაკისრების ნაწილში გაუქმება

**განხილვის ფორმა** - ზეპირი მოსმენის გარეშე

### გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

2014 წლის 04 მაისს, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის სამსახურის სწრაფი რეაგირების განყოფილების უფროსი სპეციალისტის მიერ შემდგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები ი/მ **ჯ. ს.**-ის მიმართ, საქართველოს ადმინისტრაციულ

სამართალდარღვევათა კოდექსის 53<sup>2</sup>-ე, 77-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 128<sup>3</sup>-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის თაობაზე.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის N4/14531144-4/176-14წ დადგენილებით სასამართლოს წარმოებაში არსებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები, კერძოდ, საქმე №14531144-4/176-14წ, №14531148-4/177-14წ და №14531155-4/178-14წ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის სამსახურიდან ახალციხის რაიონულ სასამართლოში შესული სამართალდარღვევის ოქმები და მასალები ი/მ **ჯ. ს.**-ს (სამართალდარღვევის ოქმები №006016; №006047 და №005017) მიმართ ადმინისტრაციული სახდელის დადების თაობაზე, ქმედებისთვის გათვალისწინებული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 53<sup>3</sup>-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 77-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 128<sup>3</sup>-ე მუხლის მე-3 ნაწილით გაერთიანდა ერთ წარმოებად და განესაზღვრა საქმის ნომერი №14531144-4/176-14წ.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 04 ივლისის №14531144-4/176-14წ დადგენილებით, **ჯ. ს.** (პ/ნ №XXXXXXXXXXXX) ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 128<sup>3</sup>-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 77-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 53<sup>2</sup>-ე მუხლით და ადმინისტრაციულ სახდელად დაეკისრა ჯარიმა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 128<sup>3</sup>-ე მუხლის მე-3 ნაწილით 2000 (ორი ათასი) ლარი.

**ჯ. ს.**-სათვის ჩამორთმეული ლენტური ხერხი, რომელიც დალუქულია გარემოს დაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის სამსახურის ინსპექტირების განყოფილების უფროსი სპეციალისტის **ა. გ.**-ს მიერ, ლუქით №1390275 და მდებარეობს ახალციხის რაიონის სოფელ **ტ.**-ში, აეხსნა ლუქი შესაბამისი სამსახურის მიერ და დაუბრუნდა მის კანონიერ მფლობელს.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 04 ივლისის №14531144-4/176-14წ დადგენილება გაასაჩივრა **ჯ. ს.**-მ, რომელმაც დადგენილების სახდელის სახით ჯარიმის დაკისრების ნაწილში გაუქმება მოითხოვა.

საჩივრის ავტორი მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 77-ე მუხლის პირველ ნაწილზე, 128<sup>3</sup>-ე მუხლის მე-3 ნაწილსა და 53<sup>2</sup>-ე მუხლზე და მიიჩნევს, რომ სასამართლოს მიერ არ იქნა გათვალისწინებული შესაბამისი გარემოებები.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სამართალდარღვევას ადგილი აქვს, მაგრამ არის ტექნიკური ხასიათის, არ არის განზრახ, ბრალეული მოქმედებით ჩადენილი, არანაირი ზიანი არ დამდგარა და მოთხოვნა ადმინისტრაციული სახდელის არ დადების შესახებ არ იქნა გათვალისწინებული. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ აქვს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, ჰყავს შვილი მძიმე ავადმყოფი ვირუსული დაავადებით და ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ითხოვს 2014 წლის 04 ივლისის დადგენილების ნაწილობრივ გაუქმებას, ადმინისტრაციულ სახდელად

ჯარიმის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 128<sup>3</sup>-ე მუხლის მე-3 ნაწილით 2000 (ორი ათასი) ლარის დაკისრების ნაწილში.

**თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:**

საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 128<sup>3</sup>-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ნორმატიული აქტით დადგენილი ხე-ტყის პირველადი გადამამუშავებელი ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების (გარდა ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა) დარღვევა – გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით, უკანონო ხე-ტყის/ ხე-მცენარის ან/და მისგან მიღებული პირველადი გადამამუშავების პროდუქციის კონფისკაციით ან უამისოდ.

საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 77-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის ან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების უქონლობა – გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარით.

საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 53<sup>2</sup>-ე მუხლის მიხედვით, მიწის ნაკვეთის არამიზნობრივი გამოყენება, -გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთასიდან ათას ლარამდე.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზეც დგინდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობა ან არარსებობა, პირის ბრალეულობა მის ჩადენაში და სხვა გარემოებები. მტკიცებულებებს წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და სხვა მასალები.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 276-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ორგანო (თანამდებობის პირი) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების, აგრეთვე ამ კოდექსის 234<sup>1</sup> მუხლით დადგენილი წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული გადაწყვეტილების გამო საჩივრისა და პროტესტის განხილვისას შეამოწმებს მიღებული დადგენილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას.

საქმის მასალების თანახმად, 2014 წლის 05 მაისს შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №006016 ი/მ **ჯ. ს.**-ს მიმართ, მასზედ, რომ მიმდინარე წლის 04 მაისს ახალციხის რაიონის სოფ. **ტ.-ში** ნანახი იქნა არარეგისტრირებული ლენტური ტიპის ხის სახერხი დანადგარი, რომლის მფლობელმა, **ჯ. ს.**-მ ვერ წარმოადგინა მიწის ნაკვეთის მიზნობრიობის დოკუმენტი, კერძოდ, მიწის ნაკვეთი არ აქვს გადაყვანილი სასოფლო სამეურნეო დანიშნულებიდან არა სასოფლო დანიშნულებაზე.

ამასთანავე, 2014 წლის 05 მაისს შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №006047 ო/მ ჯ. ს.-ს მიმართ, მასზედ, რომ მიმდინარე წლის 04 მაისს ახალციხის რაიონ სოფ. ტ.-ში ნანახი იქნა არარეგისტრირებული ხის სახერხი საამქრო ლენტური ტიპის, რომლის მფლობელმა, ჯ. ს.-მ ვერ წარმოადგინა მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში.

ამასთანავე, 2014 წლის 05 მაისს შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №005017 ო/მ ჯ. ს.-ს მიმართ, მასზედ, რომ მიმდინარე წლის 04 მაისს ახალციხის რაიონ სოფ. ტ.-ში ნანახი იქნა არარეგისტრირებული ლენტური ტიპის ხის სახერხი საამქრო, რომელიც განთავსებულია ქ. ახალციხეში მცხოვრებ ჯ. ს.-ს კუთვნილ ტერიტორიაზე. მისმა მფლობელმა, ჯ. ს.-მ ვერ წარმოადგინა მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში, არ აქვს მრგვალი მორის აღრიცხვის ჟურნალი, მიწის ნაკვეთი არ აქვს გადაყვანილი სასოფლო სამეურნეო დანიშნულებიდან არასასოფლო დანიშნულებაზე.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 04 ივლისის №14531144-4/176-14წ. დადგენილებით, ჯ. ს. (პ/ნ №XXXXXXXXXXXX) ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 128<sup>3</sup>-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 77-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 53<sup>2</sup>-ე მუხლით და ადმინისტრაციულ სახდელად დაეკისრა ჯარიმა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 128<sup>3</sup>-ე მუხლის მე-3 ნაწილით 2000 (ორი ათასი) ლარი.

ასკ-ის მე-8 მუხლის თანახმად, არავის არ შეიძლება შეეფარდოს ზემოქმედების ზომა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო, თუ არა კანონმდებლობით დადგენილ საფუძველზე და წესით. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს აწარმოებენ კანონიერების მკაცრი დაცვის საფუძველზე. საამისოდ უფლებამოსილი ორგანოები და თანამდებობის პირნი ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომებს შეუფარდებენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობის ზუსტი შესაბამისობით.

სამართალდამრღვევის ახსნა-განმარტებით ირკვევა, რომ სახერხი საამქროს ტერიტორია შემოღობილია, აქვს ნახერხის ბუნკერი ოფიციალურ საფაზა ლენტზე, ხოლო რაც შეეხება დარეგისტრირებას, ოჯახური პირობების გამო ვერ მოახერხა, სახერხი ტერიტორია არის მისი კუთვნილი, სახერხს ფიზიკურად არ უმუშავია, ვინაიდან აპირებდა საბუთების სრულად შედგენას.

სააპელაციო პალატა მიუთითებს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 16 იანვრის N46 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებზე. კერძოდ, ამ რეგლამენტის მე-16 მუხლის პირველ და მეორე პუნქტებზე, რომლის თანახმად, სახერხი საამქროს მფლობელი ვალდებულია მრგვალი ხე-ტყის (მორის) სახერხი ან/და თერმული დამუშავების დანადგარის (ტექნიკის) ან/და მოწყობილობის განთავსება/მონტაჟის დაწყებისთანავე ელექტრონულად დარეგისტრირდეს ვებ-პორტალზე (<https://portal.anr.ge>);

არარეგისტრირებულ სახერხ საამქროს ეკრძალება მრგვალი ხე-ტყის (მორის) მიღება და გადამუშავება.

ამავე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, თუ სახერხი საამქრო რეგისტრაციის გარეშე ეწევა მრგვალი ხე-ტყის (მორის) მიღებასა და პირველად გადამუშავებას, დეპარტამენტი ან მისი ტერიტორიული ორგანო უზრუნველყოფს მის იძულებით რეგისტრაციას, თუ იგი აკმაყოფილებს ამ რეგლამენტის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს ან/და დადგენილი წესით წარუდგენს სამართალდამრღვევს სავალდებულო ადმინისტრაციულ მიწერილობას სახერხი საამქროს საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

ზემოთ მითითებულ ნორმაზე დაყრდნობით, სააპელაციო პალატა განმარტავს, რომ საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ ორგანოს დაკისრებული აქვს ვალდებულება, უზრუნველყოს სახერხი საამქროს მფლობელი იძულებითი რეგისტრაცია, თუ იგი აკმაყოფილებს ამ რეგლამენტის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს. საქმის მასალებით არ დასტურდება, ამ მიზნით, ჯ. ს.-სათვის ადმინისტრაციული მიწერილობის წარდგენის ფაქტი.

სააპელაციო პალატა მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლზე, რომლის თანახმად ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, ორგანო (თანამდებობის პირი) დაადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობას ან არარსებობას, პირის ბრალეულობას მის ჩადენაში და სხვა გარემოებებს, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის. ამავე კოდექსის 237-ე მუხლის თანახმად, ორგანო (თანამდებობის პირი), ხელმძღვანელობს რა კანონით და მართლშეგნებით, მტკიცებულებას შეაფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რაც დამყარებულია საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევაზე მათს ერთობლიობაში.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №005017 ო/მ ჯ. ს.-ის მიმართ, შედგენილი იქნა მასზედ, რომ მიმდინარე წლის 04 მაისს ახალციხის რაიონ სოფ. ტ.-ში ნანახი იქნა არარეგისტრირებული ლენტური ტიპის ხის სახერხი საამქრო, რომელიც განთავსებულია ქ. ახალციხეში მცხოვრებ ჯ. ს.-ს კუთვნილ ტერიტორიაზე. მისმა მფლობელს, ჯ. ს.-ს არ აქვს მრგვალი მორის აღრიცხვის ჟურნალი, რაც შერაცხული იქნა საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 128<sup>3</sup>-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებად.

ზემოთ აღნიშნულ გარემოებებზე, დაყრდნობით, სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილება დაუსაბუთებელია ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. საქმის ხელახალი განხილვისას გამოკვლეული და შეფასებული უნდა იქნეს ყველა ფაქტობრივი გარემოება ო/მ ჯ. ს.-ს მხრიდან

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 128<sup>3</sup>-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 77-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 53<sup>2</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტის დასადგენად. კერძოდ, პირველი ინსტანციის სასამართლომ უნდა შეაფასოს, ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან კანონით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის (იმულებით რეგისტრაციის უზრუნველყოფის მიზნით, დადგენილი წესით სამართალდამრღვევისათვის სავალდებულო ადმინისტრაციული მიწერილობის წარუდგენლობა ) შემთხვევაში, არსებობს თუ არა არარეგისტრირებული ხის საამქროს მფლობელისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობა.

ამგვარად, ასკ-ის მუხლი 264-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ უნდა დაადგინოს: ჩადენილი იყო თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ბრალეულია თუ არა პირი მის ჩადენაში, ექვემდებარება თუ არა იგი ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, არის თუ არა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, რის შედეგადაც უნდა მიიღოს სამართლებრივი დასკვნა პირის ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნობის ან არ ცნობის შესახებ.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 278-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საჩივრის ან პროტესტის განხილვისას, ორგანოს (თანამდებობის პირს) გამოაქვს გადაწყვეტილება დადგენილების გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვისათვის გაგზავნის შესახებ;

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს ახალციხის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 04 ივლისის №14531144-4/176-14 დადგენილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 271-ე, 273-ე, 278-ე და 279-ე მუხლებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილით და

### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. ჯ. ს.-ს საჩივარი, ახალქალაქის რაიონული სასამართლოს №14531144-4/176-14 დადგენილებაზე, დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
2. გაუქმდეს ახალქალაქის რაიონული სასამართლოს №14531144-4/176-14 დადგენილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

3. დადგენილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მოსამართლე

თეა ძიმისტარაშვილი